ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95223571**

თარიღი:**23/12/2022**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების (სარწყავი არხების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ხაზობრივი ნაგებობები - სარწყავი არხები 61 (სამოცდაერთი) ერთეული.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2022 წლის 23 დეკემბრის №7522/02 წერილით ითხოვს ზემოთ დასახელებული უძრავი ქონების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის მიზნით, რომელიც შემდგომ განახორციელებს დასახელებული ქონების რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებებს.

ზემოთაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას მთავრობის მოთხოვნა ზემოთ დასახელებული უძრავი ქონების - სარწყავი არხების აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (სარწყავი არხები) თანახმად დანართი №1-სა.

2.ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით

დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე